1554-1555 წლის მუჰიმე დავთარები საქართველოს შესახებ[40]

მირიან მახარაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, 0179, საქართველო.
+995599943993.Makhradji@tsuu.ge
ORCID. 0000-0003-1931-0570
ზაზა შაშიკაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის
დეპარტამენტის პროფესორი. საქართველო,
6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
+995577 999 767. zaza.shashikadze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-5406-577X

ანოტაცია

საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია „მუჰიმე დავთრები“ (Mühimme Defteri). მათში დაცული ჩანაწერები მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს, რაც სიახლეა ქართული საისტორიო ლიტერატურისათ-ვის.

[40] კვლევა (გრანტის ნომერი FR-21-2069) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართ-ველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“

თურქეთის არქივებში დაცულია აღნიშნული დავთრების 260-ზე მეტი ტომი ინახება. მათი ძირითადი ნაწილი სტამბოლში, საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივშია. დოკუმენტები ოსმალური ხელითაა დაწერილი. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო მათი გამოცემა ლათინური ტრანსკრიფციის თანხლებით, თუმცა ამ დროისათვის მხოლოდ მცირე ნაწილი, რამდენიმე ტომია გამოცემული.

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცულ ,,მუჰიმე დავთრებში" ცნობების გადმოცემა იწყება ჰიჯრის 961 (1553/54) წლით. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ის მესამე ლაშქრობას ირანის წინააღმდეგ. პიველ დავთრებში, რომლებიც საქართველოს ეხება უმთავრესად გადმოცემულია სხვადასხვა პირთა დაჯილდოება, იმის გამო რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ნახიჭევანისა და ოლთისის ლაშქრობებში. აგრეთვე ასახულია ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ, ბრძოლა ილგართან და ქიამხისთან, ქართულ ტერიტორიებზე ოსმალთა მმართველობის დამყარებაზე.

მუჰიმე დავთრების თარგმნა, სათანადო კომენტარების დართვა და გამოცემა უთუოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის შესასავლლად.

შესავალი

საქართველოს უძველესი ნაწილი - მესხეთი, რომელსაც XIV ს-დან სამცხე-საათაბაგო ეწოდებოდა, ოდითგანვე დიდ როლს თამაშობდა მთლიანი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში და მისი ისტორიული განვითარების საერთო მსვლელობაში. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლა-დანაწევრების შემდეგ სამცხე-საათაბაგო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გახდა. საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მას უაღრესად დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ორი იმპერიის - ოსმალეთისა და სპარსეთის დაპირისპირებაში.

XVI ს-ის დასაწყისში თეთრბატკნიანთა კონფედერაციული სახელმწიფოს ადგილზე ჩამოყალიბდა სეფიანთა ირანის იმპერია

(მახარაძე, 2004 :59-64). ამ ეტაპიდან იწყება სუნიტური ოსმალეთისა და შიიტური ირანის დაპირისპირება. საქართველოს დაშლილი სამეფო-სამთავროები ამ ორი იმპერიის საომარ მოედნად გადაიქცა. ჯერ კიდევ 1514 წელს ირანში ლაშქრობის დროს ოსმალეთის სულტანი სელიმ პირველი სამცხის ათაბაგს სურსათ სანოვაგით დახმარებას თხოვდა (სვანიძე, 2008 :35), ხოლო სეფიანთა ირანის შაჰი ისმაილ პირველი ქართველებისაგან ცოცხალი ძალით დახმარებას ითხოვდა. 1515 წელს მზეჭაბუკმა და შაჰ ისმაილმა გააფორმეს კიდევაც ურთიერთდახმარების აქტი ოსმალების წინააღმდეგ (მამისთვალიშვილი, 1981: 42-43).

საქართველოს საკითხი უფრო მწვავედ დაისვა ამ იმპერიების შემდგომი მმართველების პერიოდში. ოსმალეთის სულთანი სულეიმან პირველი და ირანის შაჰი თამაზ პირველი სამჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ორი უკანასკნელი საბრძოლო ასპარეზი სამცხე-საათაბაგო გადაიქცა.

ქართული პოლიტიკური ელიტა კარგად ხედავდა, რომ ოსმალეთის საფრთხე ადრე თუ გვიან დადგებოდა და მიზნის განსახორციელებლად ისინი სამცხის ტერიტორიებს გამოიყენებდნენ. ამიტომაც, 1535 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ.), სამცხიდან ოსმალთა შემოჭრის საფრთხის გასანეიტრალებლად, ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა. 13 აგვისტოს ახალქალაქთან ახლოს, სოფელ მუჯახეთთან მან დაამარცხა ყვარყვარე და ტყვედ ჩაიგდო იგი. საათაბაგოს დიდი ნაწილი იმერეთის სამეფოს დაექვემდებარა (შაშიკაძე, 2023: 13).

XVI ს-ის 40-იან წლებამდე სამცხის მიმართ აქტიური საბრძოლო პოზიცია არც ოსმალეთს ეკავა და არც ირანს. ორივე მის შინაურ საქმეებში ჩარევით შემოიფარგლებოდა. სწორედ 40-იანი წლების ბოლოს, როდესაც მორიგი დაპირისპირება მიდიოდა ათაბაგობისათვის, იწყებენ ოსმალები სამცხე-საათაბაგოს საშინაო საქმეებში აქტიურ ჩარევას და მისი ტერიტორიების დაპყრობას. ამ პერიოდიდან მოყოლებული, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები იქცა ძირითად ასპარეზად ოსმალეთ-ირანს შორის გაჩაღებული საუკუნოვანი ბრძოლებისა.

XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალებმა მოახერხეს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობა და იმპერიისადმი დაქვემდებარება. აღნიშნული დაპყრობები ქრონოლოგიურად შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ. პირველი ეტაპი მიმდინარეობდა 40-იანი წლებიდან 1561 წლამდე, როდესაც ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებს შორის ყველაზე ბოლოს აჭარა (იგულისხმება მდ. აჭარისწყლის ხეობა) დაიპყრეს. ამ დროისათვის ოსმალები უკვე ფლობდნენ არტაანს, აჭარას, შავშეთ-მაჭახელს, კლარჯეთს და ამიერ და იმიერ ტაოს. ამ დროს დაპყრობილი ქართული ტერიტორიები ძირითადად 1535 წელს შექმნილ არზრუმის საფაშოში იყო გაერთიანებული.

საისტორიო დოკუმენტები ცხადყოფს, რომ XVI ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით აღნიშნული ტერიტორიები არზრუმის საბეგლარბეგოს ცალკეულ სანჯაყებს ანუ სადროშოებს წარმოადგენდნენ, რომლის ძირითადი ნაწილი ოდნავ მოგვიანებით „გურჯისტანის ვილაიეთში“ გაერთიანდა. ესენია: სპერი, ბასიანი, მამირვანი, აქჩაკალე, ოლთისი, თორთომი, ფერთექრექი, ტაოსკარი, ქემხისი, ფანასკერტი, არტანუჯი, ლივანა (ლიგანი), არტაანი, მცირე არტაანი, ქურთქალე (მგელციხე), ბათუმი, შავშეთი, აჭარა, მაჭახელი და იმერხევი.

ოსმალთა იმპერიის მიერ ქართული ტერიტორიების დაპყრობის მეორე ეტაპი დაიწყო 1578 წელს ლალა მუსტაფა ფაშას აღმოსავლეთის ლაშქრობით. ლალა ფაშამ მოახერხა ირანელთა დამარცხება და მთელი კავკასია დალაშქრა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ მოახერხა. საბოლოო ჯამში ოსმალეთის სულთანმა 1579 წელს ახლად დაპყრობილი ტერიტორიების ხარჯზე შექმნა „ახალციხის საფაშო“, სადაც ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩალდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკის და დიდი არტაანის სადროშოები გააერთიანა (სვანიძე, 1971: 187-188). უფრო მოგვიანებით, XVII ს-ის დასაწყისში, ზემოთ მოცემული ქართული ტერიტორიების უმთავრესი ნაწილი გურჯისტანის ვილაეთში გაერთიანდა.

ოსმალთა იმპერიისადმი დაქვემდებარების შემდგომ, ქართული ტერიტორიების შესახებ ცნობების მოპოვება ძირითადად თურქულ წყაროებშია შესაძლებელი.

შედეგები

წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევის დროს გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; კრიტიკულად არის გაანალიზებული საკვლევ თემასთან დაკავშირებული საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა გათვალისწინება და შედარება მნიშვნელოვანია მოვლენათა ზუსტი და ობიექტური შეფასებისათვის.

შედეგი

კვლევის შედეგად დგინდება არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ იყო ცნობილი და საკმაოდ დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა. დღესდღეობით თურქულ არქივებში დაცულ მრავალი სახის წყაროებს შორის საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია „მუჰიმე დავთრები“ (Mühimme Defteri). მათში დაცული ჩანაწერები მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს, რაც სიახლეა ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

დისკუსია

„მუჰიმე“ (Mühim) ოსმალურიდან ითარგმნება როგორც საყურადღებო, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე. აღნიშნული დავთრები სულთნის კარზე შედგენილი დოკუმენტების ერთ-ერთი სახეობაა. ,,მუჰიმე დავთრები” თავის მხრივ რამდენიმე სახისაა. მათი ერთი კატეგორია ასახავდა სულთნის უმაღლეს სათათბირო ორგანოში (დივან) მიმდინარე მოვლენებს, სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის აღრიცხული და აღწერილი ყველა შემოსული ცნობა და გაცემული ბრძანება მთელი იმპერიის მასშტაბით.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დავთრებს „უავგუსტოესის დივანის რეესტრსაც“ უწოდებდნენ, სადაც აღნუსხავდნენ დივანზე მომზადებული სულთნის ბრძანებების - ფირმ-

ანების და ბერათების მოკლე შინაარსს. 1649 წლამდე ,,მუჰიმე დავთრებში“ აისახებოდა ყველა შინაარსის ფირმანი და ბრძანება. აღნიშნული წლიდა მათში მხოლოდ სახელმწიფო დოკუმენტები აღირიცხებოდა, ხოლო ისეთი საკითხები, რომლებიც პირთა შორის დავის საკითხებს ეხებოდა ,,სარჩელთა დავთარში“ (Şikayet Defterleri) ფიქსირდებოდა. 1742 წლიდან ეს უკანასკნელი ვილაეთების მიხედვით ცალკეულ რეესტრებში იწერებოდა, რომლებსაც „სარჩელთა განაჩენები“ (Ahkamı Şikayet) ან ,,ბრძანებათა დავთრები“ ერქვა (Kütükoğlu, 2006 :520).

თურქეთის არქივებში დაცულია ,,მუჰიმე დავთრების“ 400-ზე მეტი ტომი. ძირითადი ნაწილი ინახება სტამბოლის ამჟამად უკვე თურქეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში[41]. დოკუმენტები ოსმალური დამწერლობითაა შედგენილი. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო მათი გამოცემა ლათინური ტრანსკრიფციის თანხლებით, თუმცა ამ დროისათვის მხოლოდ მცირე ნაწილი, რამდენიმე ტომია გამოცემული

ქართულ ისტორიოგრაფიაში მუჰიმე დავთრებს პირველად შეეხო პროფესორი ნოდარ შენგელია და გამოსცა რამდენიმე სტატია საქართველოს შესახებ არსებულ მუჰიმე დავთრებზე (შენგელია, 2018: 256-261; შენგელია, 2006: 373-393; შენგელია, 2008: 267-301; შენგელია, 20019 :81-88). რამდენიმე ჩანაწერი მუჰიმე დავთრებიდან აჭარის, კლარჯეთის და ტაოს შესახებ გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე ზაზა შაშიკაძეს (შაშიკაძე, 2019: 63-80). მათში დაცული ცნობები ხშირად სიახლეა ქართული საისტორიო მეცნიერებისთვის. ისინი გვეხმარება არაერთი დღემდე უცნობი საკითხის შესწავლაში, მოვლენებისა და თარიღების დაზუსტებაში.

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული „მუჰიმე დავთრებში“ ცნობების გადმოცემა იწყება ჰიჯრის 961 (1553/54) წლით. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ოსმალეთის სულთან

[41] ბოლო პერიოდამდე აღნიშნული არქივი იწოდებოდა როგორც თურქეთის რესპუბლიკის პრემიერმინისტრის საარქივო სამმართველოს ოსმალური არქივი.

სულეიმან I-ის მესამე ლაშქრობას ირანის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიების აქტიური ანექსია დაიწყო სულეიმან I-ის მეორე ირანული ლაშქრობის დროს. 1548 წლის 27 ივლისს მან თავრიზი აიღო და სეფიანთა ირანის პროვინციები მოაოხრა. საქართველოს ტერიტორიებზე სულემანმა 1549 წელს გამოილაშქრა. 13 სექტემბერს მათ ალყა შემოარტყეს თორთუმის ციხეს და აიღეს იგი. გარდა თორთუმისა ოსმალებმა აიღეს ნიხახი, ახჩაყალა, ამირახორი, ფანასკერტი, მეორე ახჩაყალა, თალხისა, ლივანა, დადელის მხარე და სხვა . (ჯიქია, 1964: 27-28). ჰასან რუმლუს გადმოცემით: „ამ წელს ოსმალეთის ხელმწიფემ სულეიმანმა მეორე ვეზირი აჰმედ ფაშა ორმოცი ათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარით საქართველოში გაგზავნა. მათ აიღეს დად ელი, რომელიც ყვარყვარეს ეკუთვნოდა და თავის ქვეყანაში წავიდნენ“ (ფუთურიძე, 1966: 26).

სულეიმან I-ის ლაშქარი საქართველოში ირანის მესამე ლაშქრობის დროსაც შემოიჭრა, კერძოდ 1454 წელს. სწორედ ამ პერიოდს ეხება სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული პირველი მუჰიმე დავთრები საქართველოს შესახებ. პირველი ცნობა, რომელიც საქართველოს შეეხება გადმოცემულია ნახიჭევანსა და ოლთისის ლაშქრობაში ვინმე მასიანის ძე მეჰმედისათვის ბოზოქის ბეილიქში მიწის გადაცემას (BOA,BA,MD: d-1, g-185). აღნიშნული ცნობა დათარიღებულია ჰიჯრის 961 წლის შევალის პირველი რიცხვით (1554 წლის 30 აგვისტო). მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა ოლთისი 1454 წლის 9 სექტემბერს აიღეს, ზემოთ აღნიშნული პირი გაწეული სამსახურისათვის უკვე დაუჯილდოვებიათ. 961 წლით დათარიღებული დაახლოებით 40-მდე საბუთი გვხვდება, რომელშიც გადმოცემულია სხვადასხვა პირების დაჯილდოება ოლთისის ლაშქრობაში მონაწილეობისათვის (BOA,BA,MD: d-1, g-184; d-1, g-234; d-1, g-240; d-1, g-266; d-1, g-268; d-1, g-274; d-1, g-305; d-1, g-311; d-1, g-826; d-1, g-847; d-1, g-1044; d-1, g-1103; d-1, g-1107; d-1, g-322; d-1, g-326; d-1, g-337; d-1, g-395; d-1, g-478; d-1, g-567; d-1, g-576; d-1, g-582; d-1, g-602; d-1, g-603; d-1, g-609; d-1, g-616; d-1, g-617; d-1, g-621; d-1, g-638; d-1, g-

641; d-1, g-733; d-1, g-774; d-1, g-796). აგრეთვე გადმოცემულია სხვადასხვა პირთა მიწით დაჯილდოება არტანუჯისა და სხვა ქართული ტერიტორიების დაპყრობისათვის (BOA,BA,MD: d-1, g-950; d-1, g-782). ქართულ ტერიტორიებზე მიწების ადაცემა ხდება არა მარტო ოლთისის ლაშქრობაში მონაწილეობის გამო. ასე მაგალითად: ვინმე ჰასანის მიერ არტაანში გიორგი მელიქისდმი თიმარისა და ზეამეთის საზღაურის გაცემის შესახებ (BOA,BA, MD: d-1, g-144). ასევე არის ოსმალეთის იმპერიაში მიწის გაცვლის დოკუმენტები, სადაც სხვადასხვა პირი ტოვებს თავის მიწას ოსმალეთის სხვა პროვინციაში და სანაცვლოდ ახალ მიწას იღებს ახალდაპყრობილ ქართულ ტერიტორიაზე (BOA,BA,MD: d-1, g-138; d-1, g-167; d-1, g-173). აღსანიშნავია, რომ ოსმალების მიერ ოლთისის დაპყრობის დროს ჰიჯრის 961 წლის 11 შევალს (1554 წლის 9 სექტემბერი) ოლთისის ყადისადმი გაიცა ბრძანება, რომ არ მომხდარიყო სოფელ სამოჰინის არამუსლიმი თემის შევიწროება (BOA,BA,MD: d-1, g-124; d-1, g-141). შესაძლებელია, რომ აღნიშნული სოფელი ოსმალებმა უბრძოლველად აიღეს. აგრეთვე მუჰიმე დავთრებიდან ვიგებთ, რომ ზოგიერთი ქართული სოფლის მოსახლეობა ოსმალების მხარეს იყო გადასული და მონაწილეობდა მათ სამხედრო შენაერთებში. 1554 წლის 16 სექტემბრის ერზრუმის ბეგლარბეგისადმი გაცემული ბრძანების მიხედვით ოსმალთა ხელისუფლება ითხოვდა არ მომხდარიყო ოლთისის ნაჰიედან ომში წასული მოსახლეობის ქონების ხელყოფა (BOA,BA,MD: d-1, g-144). ასევე ქართველ თავადს ვინმე როთანს ოსმალთა სამსახურის გამო გაეზარდა თიმარი და ეს მოხდა ვინმე გიორგი მელიქის წარდგინების საფუძველზე (BOA,BA,MD: d-1, g-147; d-1, g-307).

961 წლით დათარიღებულ მუჰიმე დავთრებში გადმოცემულია აგრეთვე ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. 961 წლის 7 შევალის (1554 წლის 5 სექტემბერი) ცნობაში გადმოცემულია აჰმედ ფაშას მიერ „გურჯისტანის მიწებიდან ილგარის მხარეში გალაშქრების“ შესახებ (BOA,BA, MD: d-1, g-138). ილგარის მთა მდებარეობს ფოცხოვსა და დამალს

შორის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ლაშქრობა მოხდა ოლთისის დაპყრობამდე, რაც იმის მანიშნებელია, რომ აჰმედ ფაშა ფოცხოვ-არტაანის გზით გამოემართა ოლთისისაკენ.

მუჰიმე დავთრების მიხედვით ვიგებთ, რომ 1554 წლის 13 სექტემბერს ქიამხისთან მოხდა შეტაკება ქართველებსა და ოსმალებს, შორის (BOA,BA,MD: d-1, g-129). ამ შეტაკებაში ოსმალებს ეხმარებოდა არტაანის გამგებელი ვინმე მეჰმედი (BOA,BA,MD: d-1, g-129) და ფერთექრექის გამგებლის ძმა სახელად ალი (BOA, BA,MD: d-1, g-124; d-1, g-129). ფერთექრექი ოსმალებმა ჯერ კიდევ 1549 წლის ლაშქრობაში აიღეს, სადაც გამგებლად მათი ერთგული პირი დანიშნეს. აღნიშნული შეტაკება ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა და მათ მრავალი ტყვე ჩაუვარდათ ხელთ. მუჰიმე დავთრებშია გადმოცემული სწორედ იმ პირთა დაწინაურების შესახებ, რომლებმაც ტყვეთა დაკითხვაში მიიღეს მონაწილეობა (BOA,BA,MD: d-1, g-246; d-1, g-247; d-1, g-639; d-1, g-730).

მუჰიმე დავთრებში ასევე ვხვდებით ცნობებს, რომ ამ პერიოდში საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებზე უკვე დამყარებულა ოსმალური მართვა-გამგეობა. ასე მაგალითად მამირვანის სანჯაყ ბეგსა და ყადის ებრძანა სოფელ სამაის მოსახლეობის საჩივრის განხილვა ყოფილი სანჯაყბეგის, ვინმე სულეიმანის მიმართ (BOA, BA,MD: d-1, g-203; d-1, g-208; d-1, g-235; d-1, g-1020; d-1, g-325; d-1, g-367; d-1, g-370; d-1, g-411; d-1, g-498), აგრეთვე მოცემულია სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნა. ასე მაგალითად: მამირვანის ყოფილ სანჯაყბეგს ნიშნავენ აქსარის სანჯაყში (BOA, BA,MD: d-1, g-837), ხოლო ვინმე დელი ყილიჩს, რომელიც ვერ ახორციელებდა ოლთისთან სასაზღვრო კონტროლს მისი შემოსავლის ნაწილი გადაცემოდა ვინმე რუსტემს (BOA,BA,MD: d-1, g-360).

დასკვნა

წარმოდგენილი დოკუმენტები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უც-

ნობი ლაშქრობის და იმ დროს განვითარებული მოვლენების შესახებ.

მუჰიმე დავთრებში ზოგადად დაცულია ქართულ-ოსმალური ურთიერთობის ამსახველი უამრავი ცნობა. მათი თარგმნა და გამოქვეყნება დიდად დაეხმარება ქართველ მეცნიერებს საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესწავლა-დაზუსტებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

მამისთვალიშვილი, ელდარ. (1981). *XVსაუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საართველოს შესახებ.* მოამზადა ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი.

მახარაძე, მირიან. (2004). *ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის ურთიერთობები XVI საუკუნის დასაწყისში.* აღმოსავლეთი და კავკასია 2, თბილისი.

სვანიძე, მიხეილ. (1973). *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XVI-XVII საუკუნეებში.* თბილისი.

სვანიძე, მიხეილ. (2008). *სელიმ პირველის ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ, საერთაშორისო ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო.* თბილისი.

შაშიკაძე, ზაზა. (2019). *XVII საუკუნის მუჰიმე დავთრები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის მუჰიმე დავთრები ბათუმისა და გონიოს შესახებ).* აღმოსავლეთი და კავკასია 8, თბილისი.

შაშიკაძე, ზაზა. (2023). *ბათუმის საბოლოო დაპრობა და ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება ოსმალთა მიერ,* აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტ. 6, # 2, ბათუმი. https://hos.openjournals.ge/index.php/hos/issue/view/861

შენგელია, ნოდარ. (2006). *ხუთი დოკუმენტი მუჰიმე დავთრებიდან სიმონ ქართლის მეფის შესახებ.* შოთა მესხია 90, თბილისი.

შენგელია, ნოდარ. (2008). *ოთხი დოკუმენტი მუჰიმე დავთრებიდან თბილისის შესახებ.* დავით კობიძე 100, თბილისი

შენგელია, ნოდარ. (2018). *მუჰიმე დავთრები.* აღმოსავლეთმცოდნეობა 7, თბილისი.

შენგელია, ნოდარ. (2019). *XVIII საუკუნის რამოდენიმე მუჰიმე დავთარი საქართველოს შესახებ.* აღმოსავლეთი და კავკასია 8, თბილისი.

ჯიქია, სერგი. (1964). იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახხებ. მოამზადა სერგი ჯიქიამ, თბილისი.

ფუთურიძე, ვლადიმერდა., კიკნაძე, ვაჟა. (1966). *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახხებ.* მოამზადეს ვლადიმერ ფუთურიძემ და ვაჟა კიკნაძემ, თბილისი.

Kütükoğlu Mühabat S. (2006). Mühimme Defterleri, Islam Ansiklobedisi v. 31, Ankara.

BOA, BA, MD, Cumhurbaşkanlığı Devlet Arşıvleri (BOA), Bab-ı Asafı (BA), Mühime defterleri (MD) - d-1, g- 124; 129; 138; 141; 144; 147; 167; 173; 184; 185; 203; 208; 234; 235; 246; 247; 268; 274; 305; 307; 311; 322; 325; 326; 337; 360; 367; 370; 395; 411; 478; 498; 567; 576; 582; 602; 603; 609; 616; 617; 621; 638; 639; 641; 730; 733; 774; 782; 796; 837; 847; 950; 1020; 1044; 1103; 1107